

ვახტანგ თევდორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Vakhtang.tevdoradze@atsu.edu.ge

კასიდის როლი შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური კულტურის ფორმირება-ჩამოყალიბებაში

რეზიუმე

არაბული ლიტერატურის ისტორია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა შუა საუკუნეებში, ისლამის კულტურის ფორმირებაზე, ისლამის გაჩენამდე, მეხუთე საუკუნის დასასრულიდან იწყება. ის საერთოდ არ არის კავშირში ელინისტურ კულტურასთან, მისი პირველი ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ, ისლამამდე პოეზიას, მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნის დასასრულიდან მეშვიდე საუკუნის შუახანებამდე, კერძოდ კი ისლამის გავრცელებამდე. არაბული ლიტერატურის ისტორიაში ისლამამდელი არაბული პოეზია წარმოადგენს განსაკუთრებულად გამორჩეულ და უმნიშვნელოვანეს პერიოდს. ამ დროს ჩამოყალიბებულმა პოეტურმა ფორმებმა, თემებმა, მოტივებმა და ჟანრებმა, აგრეთვე სალექსო ზომებმა განსაზღვრა შემდეგი პერიოდების პოეზიის გზები, მყარად დამკვიდრდა არა მარტო არაბულ პოეზიაში, არამედ სხვა მუსლიმური ქვეყნების ლიტერატურაშიც შეაღწია და საკმაოდ ძლიერი გავლენაც მოახდინა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე კი იარსება. ისლამამდელ ლექსს ჰქონდა თავისი ფორმები: კასიდა და კიტ'ა, კასიდა (ნიშნავს რაიმე მიზნის მქონეს) არის დიდი მოცულობის, უფრო დასრულებული ლექსის ფორმა, ვიდრე კიტ'ა, რომელშიც ბეითთა რაოდენობა აღემატება თხუთმეტს. ჩვენამდე არ მოუღწევია 120 ბეითზე მეტ შემცველ კასიდას. მისი ფორმა შეიქმნა V საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში და XX საუკუნემდე მოაღწია.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუა საუკუნეების პოეზიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეჭირა, სალექსო ფორმა კასიდას, რადგან, ის ისეთი მოქნილი, სრულყოფილი და დახვეწილი იყო, რომ ნებისმიერ პოეტს, აძლევდა საშუალებას გამოეხატა თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი მისწრაფება შეექმნა რაიმე ახალი, რომელიც მორგებული იქნებოდა შესაბამის დროსა და მდგომარეობას. ამასთანავე შეეძლო დაბრუნებოდა ძველს, მაგრამ თემატურობა ყოფილიყო იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ამიტომ, პოეტი, რომელიც კარგად იცნობდა კასიდის სტრუქტურას, მას შესანიშნავად იყენებდა, იწყებდა იმ თემით, რომელიც მისთვის იქნებოდა მომგებიანი, რათა თავიდანვე მიექცია მსმენელის ყურადღება, შემდეგ უცებ, კალეიდოსკოპური სისწრაფით გადასულიყო ძირითად თემაზე და მიეტანა საზოგადოებამდე ის სათქმელი, რაც თავიდანვე ჰქონდა განზრახული, ან შეეძლო ლექსი პირდაპირ დაეწყო ძირითადი თემით, ხოლო მასში კი ოსტატურად გაეკეთებინა სხვა თემების სინთეზი, ან ნახტომისებურად გადასულიყო ერთი თემიდან მეორეზე. ეს კი, რა თქმა უნდა მოითხოვდა პოეტიკის დიდ ცოდნას, სხვა ხალხებიდან მიღებული ლიტერატურული ტრადიციების გაგება-გააზრებას, რაც ასევე ერთობ მნიშვნელოვანი იყო. ამ ყველაფერმა კი თავისი დიდი წვლილი შეიტანა, იმ საერთო არაბულ-მუსლიმური კულტურის ფორმირებაში, რაც ერთობ ყვაოდა შუა საუკუნეების სახალიფოში.

საკვანძო სიტყვები: კასიდა, პოეზია, თემები, კულტურა.

შუა საუკუნეებში ისლამის კულტურის ფორმირებაზე, ძლიერ მოქმედებდა სხვადასხვა არაბული ტომების პოეზია, განსაკუთრებით მომთაბარე და მეომარი ბედუინების, რაც ერთობ განვითარებული იყო, ისლამამდელ პერიოდში. მათი ზეპირსიტყვიერება (ისლამამდელ პერიოდში არაბული პოეზია გადაეცემოდა ზეპირად, რადგან არ იყო ლექსის ჩაწერის ტრადიცია, ლექსების გადამცემებს კი, რავიები ეწოდებოდათ, რომლებიც დადიოდნენ ტომიდან ტომში და დეკლამირებას უწევდნენ სხვადასხვა ტომის პოეტების ლექსებს. არსებობს გადმოცემა, რომ ზოგიერთ რავის თავის მეხსიერებაში ჰქონდა ათასზე მეტი ლექსი, რაც შეეხება ჩაწერის ტრადიციას, ის სათავეს, მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს) საერთოდ არ არის კავშირში ელინისტურ კულტურასთან, ეს კი ხელს უწყობდა დამოუკიდებელი, თვითმყოფადი კულტურის ფორმირებას, რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული როლი ითამაშა ისლამის და არაბულ-მუსლიმური კულტურის ფორმირებაზე.

ისლამამდელ ლექსს ჰქონდა თავისი ფორმები: კასიდა და კიტ'ა, კასიდა (ნიშნავს რაიმე მიზნის მქონეს) არის დიდი მოცულობის, უფრო დასრულებული ლექსის ფორმა, ვიდრე კიტ'ა, რომელშიც ბეითთა რაოდენობა აღემატება თხუთმეტს. ჩვენამდე არ მოუღწევია 120 ბეითზე მეტ შემცველ კასიდას. მისი ფორმა შეიქმნა V საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში და XX საუკუნემდე მოაღწია. პირველ შემქმნელად მიჩნეულია, ისლამამდელი პოეზიის ყველაზე დიდი წარმომადგენლის იმრუ ლ-კასის ბიძა, მუჰალჰილი, თუმცა მისი კასიდებისათვის არ არის დამახასიათებელი ის რთული კომპოზიცია, რითაც გამოირჩევა ლექსის ეს ფორმა. მან გაიარა რა ფორმირების რამდენიმე სტადია, როგორც ისლამამდელ, ისე ისლამის პერიოდში, მიიღო დაკანონებული სახე, რასაც მოწმობს, IX საუკუნის გამოჩენილი ფილოლოგის, იბნ ქუთაიბას მიერ მისი თეორიული აღწერა, რომელიც მან შეიტანა თავის წიგნში: „წიგნი პოეზიასა და პოეტებზე“ (Крачковский 1956, 251). იგი არის დიდი მოცულობის, რთული კომპოზიციის, მრავალთემიანი ნაწარმოები, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებულ ან ერთმანეთთან საერთოდ დაუკავშირებელი ნაწილებისაგან. ის თითქმის ყველა სალექსო თემას აერთიანებს: ნასიბი, ვასფი, მადჰი, ფახრი, მუფახარა, ჰიჯა', ხამრია, ტარდია, ჰიქმა. თემებს შორის კავშირი პირობითია. პოეტი ვალდებულია გაიაროს კასიდის დაკანონებული ნაწილები, თემები, მოტივები (საუბარია ისლამამდელ კასიდაზე). ესენია: ნასიბი – ვასფი – მადჰი ან მუფახარა, ან ორივე ერთად, ან ჰიჯა', ან მუფახარა და ჰიჯა' ერთად. ზოგჯერ მათში ჩართულია ხამრია, ტარდია, ჰიქმა (ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმები, ანდაზები). აქ არ გვხვდება მარსია. ეს პირობითი კავშირები თემებს შორის, ხელს უწყობდა მათ განვითარებას, ამან კი დიდი ბიძგი მისცა ისლამის აღმოცენების და მისი გავრცელების პერიოდში, ამ სალექსო ფორმისა და თემების, (პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ჟანრები) უფრო ფართოდ გავრცელებასა და დახვეწას.

შუა საუკუნეებში, არაბული ლექსის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი ხდება მადჰი (ხოტბა, პანეგირიკი), რომელიც მარტივად გადაიქცა პოლიტიკურ იარაღად, მან შეიძინა დამრიგებლობითი ხასიათიც, ამ ჟანრის ლექსების შემქმნელი პოეტები, პირდაპირი გაგებით ხდებოდნენ და გვევლინებიან რელიგიურ-პოლიტიკურ ლიდერებად, რომლებიც იცავდნენ თავიანთი დაჯგუფებების ინტერესებს სახალიფოს კარზე. გამორჩეულნი იყვნენ: ალ-ახტალი, ალ-ჯარირი და ალ-ფარაზდაკი. რაც შეეხება მადჰის ადგილს კასიდაში, პოეზიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა მდგომარეობა გვაქვს, მაგალითად, ისლამამდელ პოეზიაში მადჰი სამ ნაწილიანი კასიდის, დაკანონებული ფორმის, ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო, VIII საუკუნიდან კი, უკვე გვხვდება ორ ნაწილიანი კასიდა, მხოლოდ ნასიბი და ვასფი. სამ ნაწილიანი უკვე იშვიათად გვხვდება, თუ გვხვდება, მასში ნასიბი და ვასფი ძალიან მოკლეა, მადჰი კი საკმაოდ ვრცელი, X საუკუნიდან კი ასეთი კასიდა კარგ კასიდად ითვლებოდა, რაც განპირობებული იყო სახალიფოში არსებული პოლიტიკური ვითარებით. მადჰი, სხვა ჟანრებთან შედარებით, მეტი ტრადიციულობით გამოირჩეოდა. მართალია იგი იცვლებოდა, ვითარდებოდა, მაგრამ შედარებით ნაკლებად, ძალიან ნელა, რაც მეტნაკლებად განაპირობებდა მის ერთფეროვან, მონოტონურ ხასიათს. სახოტბო ლექსებში რაიმე ორიგინალურობის, განსხვავებულის პოვნა შეუძლებელია. ამ სახის ლექსების გმირების სახეები შაბლონურ-

რია, არაფრით განსხვავდება სხვა პოეტების გმირებისაგან, ძნელია იპოვო განსხვავებული პიროვნული სახე, აქ მხოლოდ ზოგადი ადამიანის პორტრეტს თუ აღმოვაჩენთ. უმრავლესი სახოტბო ლექსი უპიროვნოა, ძნელია განსაზღვრო თუ რა პერიოდს წარმოადგენს პოეტი. არ ჩანს ავტორის ორიგინალურობა, პოეტური თავისთავადობა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო, წინამორბედი პოეტების შემოქმედებისადმი მიბაძვა, მათი ფორმებისა და მხატვრული სახეების, თითქმის უცვლელად გადმოღება და მრავალგზის გამეორება, შეესაბამებოდა იგი თუ არა ახალ დროს, სიტუაციას, გარემოს. მაგალითად, მე-10 საუკუნის ანდალუზიელი მეხოტბე პოეტის - იბნ დარაჯის სახოტბო ლექსებში შევხვდებით (თევდორაძე 2012, 72-73), უდაბნოს აღწერას, მის ფლორასა და ფაუნას, რაც თავის მხრივ, სრულიად უცხო იყო, ანდალუზიური გარემოსათვის. აქ პოეტი უბრალოდ მიბაძვდა, ძველი არაბი პოეტების პოეზიას, რომელთათვის უდაბნო, ჩვეულებრივი და განუყოფელი გარემო იყო. ფაქტობრივად, ხოტბებში კლიშედ ქცეული აღმოსავლური სურათები, თაობიდან თაობებს გადაეცემოდა, მეორდებოდა იმდენად ხშირად, რომ არ იყო გათვალისწინებული, შეესაბამებოდა თუ არა იგი ახალ დროს, ახალ გეოგრაფიულ გარემოს, სიტუაციას, საზოგადოებრივი ყოფის ახალ პირობებს და ა.შ. ნაკლებად ჩანდა იმ საზოგადოებრივი ყოფის პირობები, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ეს შეიძლება განპირობებული ყოფილიყო იმითაც, რომ იბნ დარაჯის შემთხვევაში, პოეტი არაბულ ენაზე ქმნიდა ლექსს, იგი განკუთვნილი იყო, მთელი არაბულენოვანი სამყაროსათვის, რომელთა უმრავლესობა არაბეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდა, მათთვის კი, ანდალუზია და მისი სპეციფიკა, გინდ გეოგრაფიული გარემო, მისი ლანდშაფტი, ფაქტობრივად, უცხო იყო. არაბთა უმრავლესობისათვის, რომ ნათელი და ამასთანავე მისაღები ყოფილიყო ეს ლექსები, პოეტი, ალბათ იძულებული იყო, შეგნებულად თუ შეუგნებლად ანდალუზიაში გადმოეტანა, უმრავლესობისათვის მისაღები გარემო. ამიტომ ეს ლექსები, მოკლებული იყვნენ დოკუმენტურ ხასიათს, გამონაკლისების გარდა. შუა საუკუნეების მადჰში ნაკლებად ჩანს ინდივიდი, ავტორის ან ნაწარმოების გმირის პიროვნული თვისებები, სხვებისაგან განსხვავებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ბევრი თანამედროვე ევროპელი მკვლევარი, ამის მიზეზად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სახოტბო ლექსს, კარის პოეტი უმრავლეს შემთხვევაში, ქმნიდა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციებიდან გამომდინარე და არა საკუთარი გულწრფელი, პირადული რწმენის მიხედვით.

ისლამამდელი კასიდა, როგორც აღვნიშნეთ, იწყებოდა პოეტური შესავლით, ე.წ. ნასიბით, რომელიც იყო გარდასული სიყვარულის, სევდიანი მოგონება. იგი ჩვენამდე მოღწეული, თითქმის პირველივე ისლამამდელი ძეგლებში გვაქვს (VI საუკუნის პირველი ნახევრიდან). ის ყოველთვის ორიენტირებულია წარსულზე, ეს არის, ძველი სიყვარულის გახსენება და ამით გამოწვეული ტკივილი. ნასიბის შემოტანას კასიდაში, როგორც ამას წერს დ. გარდავაძე, მიაწერენ ვინმე ჰიზამს, ან ცნობილ ალ-მუჰალაჰილ იბნ რაბი'ას, ან სულაც თვით იმრულ-კაისს (გარდავაძე 2018, 12).

შუა საუკუნეებში შეიცვალა ნასიბის ჟანრის ხასიათიც. ჰიჯაზის ქალაქებში ის რჩებოდა ერთადერთ თემატურ თემად, სადაც ჯერ კიდევ სრულიად არ ბატონობდა თეოკრატიული იდეოლოგია, მაგრამ ამ ჟანრის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე ომარ იბნ აბუ რაბია, უკვე იძულებულია თავი იმართლოს თავისი პოეზიის გამო. თანდათანობით, სიმღერა სიყვარულზე, რომელიც სრულიად გასულია რელიგიური ჩარჩოებიდან, ხდება თავისებური იდეური პროტესტის გამოხატულება.

ისლამამდელმა პოეზიამ საერთოდ, კერძოდ ნასიბმა, დიდი გავლენა იქონია შემდგომი პერიოდების არაბულ პოეზიაზე. ომაელთა პერიოდში განვითარებული ბედუინური (უზრიული) და ქალაქური სატრფიალო ლირიკა (ლაზალი), რომელიც უკვე დამოუკიდებელ ჟანრად ფუნქციონირებს, მართალია, ბევრი რამით განსხვავდება ისლამამდელი ნასიბისგან, იქნება ეს მუსიკალურობა, ფორმა, სტილი თუ შინაარსი, მაგრამ მსგავსი ნიშნების პოვნა, მრავლად შეიძლება, რაც აშკარად მეტყველებს მემკვიდრობითობის უწყვეტ ჯაჭვზე. განსხვავება ის არის, რომ ისლამამდელი ორიენტირებულია წარსულზე, ქალაქური კი აწმყოზე. ქალაქურისგან რადიკალურად განსხვავებული, უზრიული სატრფიალო პოეზიისათვის დამახასია-

თებელია პლატონური, სულიერი სიყვარული. მასში სიყვარულით გართობა უცხოა, უზრი-ელი პოეტების სიყვარული მხოლოდ ერთადერთისადმია მიმართული. მაჯუნნი მხოლოდ ლეილას უძღვნის ლექსებს, ჯამილი კი ბუსეინას, ანუ იქმნება მუდმივი სასიყვარულო წყვი-ლები: ლეილი-მაჯუნნი, ჯამილი-ბუსეინა... სიყვარულით ტანჯვა და ამ ტანჯვით მიყენებუ-ლი ვნება, ყოველგვარ ხორციელ ტკბობაზე მალლა დგას, მათი თანამგზავრი მხოლოდ ცრემ-ლებია. აქ ლტოლვა გაიგება, როგორც ღვაწლი, ყოვლისმომცველი მისწრაფება ერთისადმი და ისიც მიუწვდომელი, აღიწერებოდა სიყვარულისაგან გამოწვეული დაუსრულებელი მწუ-ხარება, ეს ყველაფერი კი, არის პირდაპირი ანტონიმი ბედუინური პოეზიისა, სადაც მიჯ-ნურს, უფრო მეტი თავისუფლება აქვს, მისი სიყვარული უფრო წრფელია და გულიდან წამო-სული. აქაც კასიდის როლი, საკმაოდ დიდია. უზრიულმა სიყვარულის გაგებამ, უნდა ვივა-რაუდოთ, რომ გარკვეულწილად ხელი შეუწყო მოგვიანებით სუფიზმისა და სუფიური პოე-ზიის განვითარებას. ამან კი, თავისი კვალი დატოვა საერთო არაბულ-მუსლიმური კულტუ-რის ფორმირება-ჩამოყალიბებაზე.

შუა საუკუნეებში, ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა, ამიტომ VIII-X სა-უკუნეებში, მუსლიმური კულტურა ფაქტობრივად ხდება ერთი ენის (იგ. არაბული). ითარ-გმნა ბერძნული ფილოსოფიური ნაშრომები, ამ საქმიანობის შედეგია მუსლიმური ფილოსო-ფიური პოეზიის განვითარება, მაგრამ იმის თქმა, რომ მსგავსი თემა არაბულ პოეზიაში არ იყო, ეს შეცდომაა, რადგან ისლამამდელ პერიოდში, კასიდის ერთ-ერთი თემა იყო, ჰიქმა, ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმები, ანდაზები, ისლამამდელმა ჰიქმამ დიდი როლი შე-ასრულა, არაბული ფილოსოფიური ლირიკის ჩამოყალიბება-განვითარებაზე. სხვადასხვა მეცნიერები, როგორც არაბი, ისე არა არაბი, ევროპელი თუ რუსი, მათ შორის ი. კრაჩკოვსკი, ი. ფილშტინსკი, ნოლდეკე, ალვარდტი, შეიხო თუ სხვა, პარალელურად ავლებენ ისლამამდელი პოეტების ჰიქმასა და აბასიანთა პერიოდის მეტ-ნაკლებად ფილოსოფიურად მოაზროვნე პოე-ტებს შორის, მაგალითად აბუ ლ-ათაჰიას შემოქმედებასთან, რომელიც ფილოსოფიური ლი-რიკის, ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მათი აზრით, ჰიქმამ გარკვეული ბიძგი მისცა მუთანაბის, აბუ ლ-ალა ალ-მა'არის და სხვათა ფილოსოფიურ ლირიკას. ი. კრაჩკოვსკი აბუ ლ-ათაჰიასა და რეფლექსურ-ფილოსოფიური მიმართულების შესახებ წერს: „...აბუ ლ-ათაჰია იყო, პირველი სერიოზული წარმომადგენელი აღნიშნული მიმართულებისა (იგულისხმება ფილოსოფიური რეფლექსია), რომელსაც თავისი ცხოვრების ნახევარი მიუძღვნა. მაგრამ ის არ ყოფილა ისეთი მოულოდნელი მეტეორი, როგორც ვარაუდობდნენ ზოგიერთები (მაგ. კრემერი). მსგავს აზრებს ვხვდებით ჯერ კიდევ 'ადი იბნ ზაიდთან, ძალიან ბევრს ლაბიდთან, რომლის მუზა ყველაზე უფრო ენათესავება აბუ ლ-ათაჰიას...'“ (Крачковский 1956, 37). ამ შემ-თხვევაში ჩვენ, მსგავსად ი. კრაჩკოვსკისა, ი. ფილშტინსკისა და სხვებისა, ბევრ მაგალითებს ვპოულობთ აბუ ლ-ათაჰიას შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის ზუჰდიანთში. ამ ლექსებ-შიც, თვალნათლივ ჩანს კასიდის მოქნილობა და მისი დიდი როლი, ამ მიმართულების განვი-თარებაში.

არაბი ბედუნები, თავიანთი ყოფითი პირობებიდან გამომდინარე, ბევრს მოძრაობდნენ და გადაადგილდებოდნენ, სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებს ხვდებოდ-ნენ და ჰქონდათ არამარტო ეკონომიკური, არამედ კულტურული ურთიერთგავლენა, რაც არაბი ბედუნი პოეტების შემოქმედებაში აისახებოდა. რიგი თემების და მოტივების გაჩენა კი, ამ ურთიერთობებისა და გავლენების შედეგი იყო. ამის ნათელი მაგალითია, ღვინის თემა, შუა საუკუნეებში დამოუკიდებელ ქანრად ჩამოყალიბებული - ხამრიათი. ის საკუთრივ ღვი-ნოსა და „სამაგიდო მხიარულებებს“ ეძღვნებოდა. მისი დაბადება ისლამამდელ არაბულ პოე-ზიაში, კავშირშია ალ-ჰირასთან, ადგილი, რომელთანაც ქრისტიანული კერები ძალიან ახლო იყო, ღვინო და მასთან დაკავშირებული საქმეები კი, თითქმის ტრადიციული. არაბულ ნია-დაგზე მის განვითარებაში, დიდი როლი ითამაშეს ამ სკოლის (იგულისხმება ჰირის სკოლა) არაბმა პოეტებმა: ალ-‘აჰამ და 'ადი იბნ ზაიდმა. ისლამამდელი პერიოდის ლექსებში იგი მთლიანი, ერთიანი სახით იშვიათად გვხვდება. ღვინის მოტივები ფრაგმენტულად, ეპიზო-დურადაა ჩართული კასიდის სხვა თემებში და ფუნქციურად მთავარ თემას ექვემდებარება,

გამონაკლისად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადი იბნ ზაიდი. აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისბაჰანი თავის უდიდეს ანთოლოგიაში „სიმღერათა წიგნში“ ‘ადი იბნ ზაიდის მოიხსენიებს, შუა საუკუნეების გამოჩენილი პოეტების ალ-ვალიდისა და აბუ ნუვასის გვერდით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იგი „ღვინის პოეზიის“, არა როგორც დამოუკიდებელი ლექსის, არამედ როგორც კასიდაში ჩართული ამ თემის ერთ-ერთი პირველი გამავრცობელიც არის (Ал-Исфাহани 1980, 280). სწორედ ხამრიათით მიაღწია აბუ ნუვასმა აღიარებას, ის ღვინოს ეტრფოდა მთელი სულით და გულით, მისი სიყვარული სასმელისადმი, ისეთივე ძლიერია, როგორც თავად ამ სასმელის ზემოქმედება, მას უყვარდა ყველაფერი, რაც ღვინოსთან იყო კავშირში, ღვინის გარეშე აბუ ნუვასში იკარგება ცხოვრების მშვენიერება, თუ არ იყო ღვინო ის ვერ ხედავდა ცხოვრების აზრს, მას ეჭირა მთელი მისი სხეული, გული, სული, ის იყო წამალი ყველა უბედურებისა და მწუხარებისა. მან სრულყო ეს ჟანრი კასიდის ფორმაში, (რა თქმა უნდა კასიდის ფორმის დამსახურებაც არის) მისცა რა მას, დამოუკიდებელი ლექსის სახე, რაც ერთობ კარგი იყო, იმ დროინდელი საზოგადოების ყურადღების მისაქცევად, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ღვინო და მასთან დაკავშირებულ თემებზე დაწერილი ლექსით, პოეტი მაშინვე ექცეოდა ყურადღების ცენტრში, მალე ჰპოვებდა აღიარებას, რადგან ისინი საუბრობდნენ ნადიმზე, დროსტარებაზე, გართობაზე, ღვინის სმაზე, რაც იმდროინდელი საზოგადოებისათვის ერთობ მისაღები, სახალისო იყო და მსმენელს თავიდანვე კარგ განწყობას უქმნიდა. ასე, რომ ამ ჟანრის ლექსებსაც აქვთ უდიდესი მხატვრულ-ლიტერატურული და ისტორიული ღირებულებები, მათში ჩანს პოეტის ჭეშმარიტი სული, ასევე ისინი გვიქმნიან წარმოდგენას, თუ რა ხდებოდა შუა საუკუნეების არაბულ სახალიფოში.

აბუ ნუვასთან ერთად გვერდს ვერ ავუვლით, იმავე პერიოდის პოეტს ბაშარ იბნ ბურდს, რომელიც მოღვაწეობდა იმ დროს, როდესაც დიდი დაპირისპირება იყო ძველი ტრადიციული ლიტერატურის მიმდევრებისა და ახალი, განახლების მომხრეებს შორის. ის ცდილობდა თავის შემოქმედებით გული მოეგო, როგორც ერთი ისე მეორე დაჯგუფებისათვის, ლექსებში ის იყენებდა ძველი პოეზიის სტილსა და მეთოდებს, მაგრამ მათში მაინც ცდილობს შეიტანოს, ახალი ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიუანსები, რადგან ის გრძნობდა, რომ ლიტერატურა, ეს იყო კონკრეტული სოციალური გარემოს პროდუქტი და თავის მოვალეობად თვლიდა, ყოფილიყო ამ ხალხისა და ეპოქის წარმომადგენელი. ასე, რომ თავისი შემოქმედებით, ბაშარ იბნ ბურდმა დასაბამი მისცა კლასიკურ ლიტერატურას, რითაც გაუღო კარები სხვა პოეტებს, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ მისი განვითარებისა. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შემოქმედება არის, ერთგვარი დამაკავშირებელი ძველი ტრადიციისა და ახალი ლიტერატურული პროცესებისა. ამას კი მიაღწია კასიდის ფორმის მოქნილობით. შეიტანა რა თავის წვილი, საერთო კულტურულ განვითარებაში.

საინტერესოა თემათა სინთეზი, კასიდის დაკანონებულ ნაწილებში, რაც ერთობ ხშირად გვხვდება ისლამამდელ კასიდაში, რომელიც ასევე კარგად გამოიყენეს შუა საუკუნეების პოეტებმა, აღსანიშნავია მადჰისა და ფახრის სინთეზი (თევდორაძე 2013, 314-315). პირველად ასეთი კასიდა გვხვდება ისლამამდელი პოეტის ალ-ჰარის იბნ ჰილიზა ალ-იაშქარის მუალაკაში, რომელიც მან მიუძღვნა ჰირის მეფეს, რაც შეეხება შუა საუკუნეებში, ასეთი სინთეზი კასიდაში, ძირითადად გვხვდება ომაელთა ხანის მეხოტბე კარის პოეტების შემოქმედებაში: ალ-ჯარირი, ალ-ფარაზდაკი და ალ-ახტალი, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ აქ სინთეზი არის მადჰისა და ჰიჯა'სი, რადგან დრო და პოლიტიკური ვითარება ამას მოითხოვდა, ამიტომ მათი კასიდებისათვის დამახასიათებელია მოკლე ნასიბი და დიდი მადჰი, ან ლექსებს იწყებენ პირდაპირ მადჰით, ზოგჯერ ლექსს იწყებენ ფახრითაც და გადადიან მადჰზე, შემდეგ ჰიჯა'ზე, რაც ასევე ერთობ სიახლეა შუა საუკუნეების პოეზიაში. ამ ლექსებით კი ისინი გახდნენ ნოვატორები ისეთი პოეტური მიმდინარეობისა, როგორც არის პოლიტიკური პოეზია.

კასიდა, ის ისეთი მოქნილი იყო, რომ შუა საუკუნეების პოეტს, საშუალებას აძლევდა აერჩია ორიდან ერთი მიმართულება, რომელიც იმ პერიოდში მისთვის მომგებიანი იქნებოდა და თავს დაიმკვიდრებდა. ერთი ან დაბრუნებოდა წარსულს და შეექმნა ტრადიციული ლექსი, ან მეორე, შეექმნა რამე ინდივიდუალური, ანუ ამ ძველი ფორმის გამოყენებით, პოეზიაში

შემოეტანა სიახლე. აღსანიშნავია შუა საუკუნეების წარმომადგენლები აბუ თამამი და ალ-ბუჰტური (Фильштинский 1985, 388-392) რომლებმაც გამოიყენეს ლექსის ტრადიციული, ძველი თემები, ისინი განავითარეს და შექმნეს ახალი. განსაკუთრებით აბუ თამამმა, რომელიც ითვლება, რაციონალისტური მიმდინარეობის შემქმნელად, მან პოეზია აიყვანა უმაღლეს დონეზე. ამით ის ყველა პოეტზე მაღლა დგას, მისი ლექსების ფორმა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ლექსების შინაარსთან, ემოციებთან. რაც შეეხება ალ-ბუჰტურის, მისი სიმპატიები აშკარად არის ტრადიციისადმი, რადგან ის იყო ბედუინი, ცხოვრების ახალი სტილი და ცივილიზაცია, მხოლოდ გარეგნულად მიიღო. ის ლექსებს წერდა თითქმის ყველა თემაზე, რომელთა უმრავლესობა არის, ძველი ლიტერატურის იმიტაცია. იგი იყო დაბადებული პოეტად, დაჯილდოვებული შთამბეჭდავი პოეტური სულით, დახვეწილი გრძნობებით.

შუა საუკუნეებში განახლებული ჟანრების გამოჩენა, არ იყო პოეტური ევოლუციის მთელი ნაწილი, რადგან დამოუკიდებელი ჟანრი სულ იყო, სადაც ავტორი თავის თავს წარმოაჩენდა, როგორც ლექსის სტილში, ასევე პოეტურ ტექნიკაში, სიტყვათა დახვეწილ თამაშში, მეტაფორებში, ამ ყველაფერში კი, რა თქმა უნდა ჩანდა მისი განათლება და ცოდნა, როგორც მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა, ასევე წინა პერიოდის, ისლამამდელი არაბული პოეზიისა. IX საუკუნის ბოლოს, წიგნი გახდა ცოდნის გავრცელების მთავარ იარაღად, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, არაბებმა დაიწყეს ლექსების ჩაწერა და შესაბამისად იქმნებოდა კრებულები, დივნები, ანთოლოგიები, წიგნის სიყვარული იმ დონეზე გაიზარდა, რომ სახალიფოში მწიგნობრობა და საწიგნო საქმიანობა ფართოდ გაიშალა, ასევე დაიწყეს ქალაქის წარმოება, რაც უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე პერგამენტები. შენდებოდა ბიბლიოთეკები, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა სამწიგნობრო საქმიანობებიც. ფაქტიურად ეს პერიოდი ითვლება, შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური კულტურის ზენიტად.

კასიდასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, იყო მეორე სალექსო ფორმა კიტ'ა, რომელიც შედგებოდა 15-ზე ნაკლები ბეითებისაგან, ძირითადად იყენებდნენ გარდაცვლილის დატერებისას - მარსია ან ვინმეს გაკიცხვისას - ჰიჯ'ა. ამ ფორმამ კი ფაქტიურად კასიდის ევოლუციის ფონზე, რაიმე ნიშანდობლივი ცვლილება ან სიახლე შუა საუკუნეებში არ განუცდია.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლილ სიახლეს, განვითარებაში ხელს უწყობდა და განსაკუთრებული როლი ეჭირა, სალექსო ფორმა კასიდას, რადგან როგორც განვიხილეთ, ის ისეთი მოქნილი, სრულყოფილი და დახვეწილი იყო, რომ ნებისმიერ პოეტს, აძლევდა საშუალებას გამოეხატა თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი მისწრაფება შეექმნა რაიმე ახალი, რომელიც მორგებული იქნებოდა შესაბამის დროსა და მდგომარეობას. ამასთანავე შეეძლო დაბრუნებოდა ძველს, მაგრამ თემატურობა ყოფილიყო იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ამიტომ, პოეტი, რომელიც კარგად იცნობდა კასიდის სტრუქტურას, მას შესანიშნავად იყენებდა, იწყებდა იმ თემით, რომელიც მისთვის იქნებოდა მომგებიანი, რათა თავიდანვე მიექცია მსმენელის ყურადღება, შემდეგ უცებ, კალეიდოსკოპური სისწრაფით გადასულიყო ძირითად თემაზე და მიეტანა საზოგადოებამდე ის სათქმელი, რაც თავიდანვე ჰქონდა განზრახული, ან შეეძლო ლექსი პირდაპირ დაეწყო ძირითადი თემით, ხოლო მასში კი ოსტატურად გაეკეთებინა სხვა თემების სინთეზი, ან ნახტომისებურად გადასულიყო ერთი თემიდან მეორეზე. ეს კი, რა თქმა უნდა მოითხოვდა პოეტიკის დიდ ცოდნას, სხვა ხალხებიდან მიღებული ლიტერატურული ტრადიციების გაგება-გააზრებას, რაც ასევე ერთობ მმნიშვნელოვანი იყო. ამ ყველაფერმა კი თავისი დიდი წვლილი შეიტანა, იმ საერთო არაბულ-მუსლიმური კულტურის ფორმირებაში, რაც ერთობ ყვაოდა შუა საუკუნეების სახალიფოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

გარდავაძე, დარეჯან. 2018. *უზრიული დაზალი და გადმოცემები უზრიელ პოეტ-მიჯნურებზე*. თბილისი: გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“.

- თევდორაძე, ვახტანგ. 2012. “მადჰი (ხოტბა, ქება) შუა საუკუნეების არაბულ ლიტერატურაში.” *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები*, № XII: 72-79.
- თევდორაძე, ვახტანგ. 2013. “მადჰისა და ფახრის სინთეზი ალ-ჰარის იბნ ჰილიზას ალ-იაშქარის შემოქმედებაში.” *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“ შრომები*, № I: 314-317.
- Ал-Исфাহани, Абу-ль-Фарадж. 1980. *Книга Песен*. Перевод А. Б Халидова, Б. Я. Шидфар. Москва: Главная редакция восточной литературы издательства «Наука».
- Крачковский, И. Ю. 1956. *Избранные сочинения*, т. II. Москва-Ленинград: Издательство Академии Наук СССР.
- Фильштинский, И. М. 1985. *История арабской литературы V — начала X вв.* Москва: Главная редакция восточной литературы.